საქ-რთ ქიმარქ. ხოც.-დემ. ხარეჯ. პარტიის [illegible]

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 421 პარასკევი, მარტის 16 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

კომუნისტების ყრილობა

1

ოთხშაბათს საღამოს (14 მარტი) ქალ. ტფილისში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს მეორე ყრილობაა კომპარტიის.

იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია ხსენებული ყრილობა, მისი როლი საბჭოთა საქართველოს შემდეგი აღმშენებლობითი საქმეების განვითარებისათვის, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ამ ყრილობას განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ.

ჩვენი ინტერესი ამ ყრილობისადმი—მხოლოდ დამახასიათებელია. არა მარტო ქართველი ხალხი, ამიერ-კავკასიის და რუსეთის მშრომელი ხალხის ფართო მასსა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ქართველი კომუნისტების მოქმედებას, მის პოლიტიკას და ტაქტიკას.

ვიდრე პირდაპირ საკითხს მივუდგებოდეთ ჩვენ გვინდა ერთი კითხვა გავარკვიოთ, რომელიც შეიძლება ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს და მკითხველს ბუნებრივად დაებადება. ეს არის ჩვენი დამოკიდებულება კომპარტიის ყრილობასთან პოლიტიკურ მოსაზრებათა მიხედვით.

განა ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს კეთილ გრძნობათა თაიგული მივუძღვნათ კომუნისტებს? ჩვენ ხომ ცალკე, განსაზღვრული, დამოუკიდებელი, სხვა პოლიტიკური პარტიის ხალხი ვართ?

ტრივიალი დებულება კი შემდეგია: საკმარისია განცალკევებული პარტია იყო, რომ ეს უკვე იმას ნიშნავდეს, რომ ეს იპსო იბრძოლო მეორე პოლიტიკურ პარტიის დამხობისათვის.

ეს დებულება ისტორიულადაც შემცდარია და პრაქტიკულადაც მიუღებელი. ჩვენ არ შეგვიძლიან ერთი წუთითაც მიზნად დავისახოთ კომუნისტურ პარტიის დამხობა, დაქსაქსვა, დაუძლურება **იმიტომ კი არა, რომ ამისათვის ჩვენ უძლურნი ვართ და არ შეგვიძლიან** ასეთი მიზნის დასახვა, არამედ იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ქართველი ხალხისათვის დიდი უბედურობა და ამავე დროს კატასტროფა მთელი მსოფლიოს სოციალისტური მოძრაობისა.

ბევრი იმას ფიქრობს, რომ საქართველოს კომუნისტებმა მოუტანა დიდი ეროვნული უბედურება. [illegible] ჩაგვითვლის ახირებულ პარადოქსად: კომუნისტების კრიზისი უეჭველი და ულრმესი კრიზისი იქნება მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებისათვის.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას საერთოდ და მის [illegible] საზოგადოებრივ ძალებს და პარტიათა ავლა-დიდებას.

მენშევიკებმა შესძლეს იმ ყალთაბანდურ აზრის გამეფება ჩვენში თითქოს მენშევიკური პარტია და ქართველი ხალხი ერთი და იგივე ხალხი იყოს. ეს არის ყოვლად მავნებელი უსაფუძვლო დებულება.

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მეთვალყურე მენშევიკურ პარტიის ისტორიაში ორ მომენტს შეამჩნევს. პირველი მომენტი მენშევიკური პარტიის პოლიტიკურ მოღვაწეობის მომენტია პარტიის გასახელმწიფოებამდე, მეორე—მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. მაგრამ ამ ორ მომენტს შორის მხოლოდ ის კავშირი არსებობს, რომ პირველი მეორეს უარყოფაა და ისე წინა უკმო. მენშევიკურმა პარტიამ სახელმწიფოებრივი მუშაობით პოლიტიკური წარსული უარყო, ხოლო პოლიტიკური წარსული სახელმწიფოებრივი აწმყოს უარყოფას შეადგენდა. ჩვენ მხოლოდ მუსოლინის პარტია მოგვაგონებს მენშევიკურს პარტიას, რომელსაც პირზე აკერია დემოკრატიზმი, ხოლო საქმით კი ბონარ ლოუს და პუანკარეს რეაქციას მისდევს.

მენშევიკური პარტიის პოლიტიკური წარსული ყველას მოეხსენება რასაც შეადგენდა. მენშევიზმის წარსული ქართველ ერის ეროვნული გრძნობების დასამარება და გამასხარავებას შეადგენდა. რაც შეეხება მის სახელმწიფოებრივ შემოქმედებას—ამ მხრივ მენშევიკურმა პარტიამ სრული უმწეობა გამოამჟღავნა. თუ პოლიტიკური მომენტი უარყოფითი იყო, ასევე უარყოფითი იყო მისი პრაქტიკული მოღვაწეობა. დღესაც მენშევიკური პარტიის აქტიობას საქართველოსათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს და არსებითად ასრულებს ანტიეროვნულ როლს. ამიტომაა ჩვენ ვურჩევდით ყოველ მენშევიკს, თუ კი მასში მართლა არსებობს ეროვნული გრძნობა შეგნებულად უკუაგდო მენშევიზმის დამღუპველი სამოსელი და დროითვე ჩამდგარიყო რევოლიუციის მწკრივში.

რუსეთში ამ გზას გაბედულად დაადგა მარტინოვი და როჟკოვი, ჩვენში მკრთალად ამ მხრივ ნაბიჯი გადადგეს თევზაიამ, გელეიშვილმა და ბენდელიანმა. ეს არის ლიკვიდაცია მენშევიზმის, ესე იგი სიმბოლო ქართველი ხალხის გამოფხიზლების და აღდგენის.

ამ ჟამად რუსეთი დიდიდ აღმშენებლობის დ აღდგენის პროცესშია. დიდი სტრატეგი, რომელსაც გამჭრიახი პოლიტიკური ალღო ახასიათებს—გენერალი გინდენბურგი თავის წერილებში, მხოლოდ კომუნისტებს სთვლის სახელმწიფოებრივ ძალად, რომელთაც შეუძლიანთ ქვეყნის აღდგენა. ასევე იყო რუსეთშიაც: მენშევიკების დ ესერების პერიოდი რუსეთისათვის იყო პერიოდი უნიათობის, დაქსაქსვის დ დაღუპვის. რუსეთი კომუნისტებმა გადაარჩინა. დღეს რუსეთის საზოგადოებაში მენშევიკის დ ესერის ხსენება არსად არის, თითქოს ხსენებულ პარტიებს არავითარი კვალი არ დაეტოვებია რუსეთში. მაგრამ ამ ორპირულ, ოპორტუნისტულ პარტიების ალსასრული იყო სიმბოლო რუსეთის აღდგენისა.

კომუნისტებს გარდა ჩვენ არ ვხედავთ არც ისეთ სერიოზულ ძალას, რომელსაც შეეძლოს საერთაშორისო რევოლიუციის სამსახური დ ამავე დროს ქვეყნის აღმშენებლობითი საქმეებში ჩარევა. შეიძლება ამ ფაქტის აღიარება არ იყოს სასიამოვნო ჩვენი პარტიული კაპიტალის შეძენისათვის, მაგრამ სინამდვილის წინაშე თვალების დაბრმავება სრულიადაც არ მოასწავებს დიდი პოლიტიკური მოღვაწის სახელის მოხვეჭას.

აქედან ადვილი გასაგებია ჩვენი აზრი და დამოკიდებულება კომუნისტურ პარტიასთან. რამდენადმე ნათელია ჩვენი ის მოტივები, რომლითაც მივუდგებით ხოლმე კომუნისტების მე-2 ყრილობის მუშაობას.

მაგრამ რაკი კომუნისტების წინაშე მთელი რიგი საკითხებია დასმული, რომელთაც ჩვენი ქვეყნისათვის უაღრე'ი მნიშვნელობა აქვს ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ მხარეების შესახებ ყრილობის მსვლელობაშივე ჩამოვაგდოთ საუბარი.

თედო ღლონტი.

კონსტიტუციის ფრონტი იშლება.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება წერილები მენშევიკების ცნობილი ხელმძღვანელების, რომელნიც აღარ იზიარებენ მენშევიკების პოლიტიკას.

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამდენადაც იგი გამოხატვაა მენშევიკების და მემარჯვენეთა ფრონტის დაშლისა.

როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ადგილი აქვს მემარჯვენეთა ფრონტის დაშლას. რევოლუციონურ შემოქმედების ქარტეხილმა გადალახა [illegible]კალს გადაღმა მდგომთა მოთმინების ფიალა და [illegible]ვება მოწინააღმდეგეთა ბანაკის დეზორგანიზაცია.

საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან მენშევიკების პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ შიგნით საბოტაჟით და ხელის შეშლით, ხოლო გარედან იმპერიალისტური ძალების დახმარებით დაემხოთ საბჭოთა ძალა-უფლება. დღეს თვით მენშევიკების რიგებშიაც ფეხს იკიდებს ის რწმენა, რომ ვერც შიგნით და ვერც საზღვარ-გარედ მენშევიკებმა ვერ შესძლო თავისი პოლიტიკის გამართლება. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ამას ჩვენ იმ თავითვე ვამტკიცებდით და ქართველ ხალხს მოუწოდებდით, რომ საქართველო და მენშევიზმი არ არის ერთი და იგივე და მენშევიკების დამხობის შემდეგ გვებრძოლა საქართველოს თავისუფლების გამტკიცებისათვის.

ჩვენს გაზეთში ხშირად იბეჭდება განცხადებანი მემარჯვენეთა წრიდან გამოსვლისა და ჩვენს რიგებთან შემოერთებისათვის. ყოველივე დღე, კვირა, ახალი ნაბიჯებია გადადგმული მემარჯვენეთა ფრონტის დაშლისა. ეს ჩვენ იმ თავითვე გვქონდა გათვალისწინებული.

ვინც ვერ გაიგებს ისტორიის მაჯისცემას და ლოღიკას, იგი ადრე თუ გვიან იძულებული გახდება სინანულით მიმართოს წარსულს და გამოასწოროს თავის შეცდომანი.

ვისაც სურს ქართველი მშრომელი ხალხის კლასობრივი და ეროვნული ინტერესების დაცვა, იგი აუცილებლად უნდა დაადგეს მტკიცედ საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგებში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

— **ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულება.** გაზეთების ცნობით, ბრიტანეთის კაბინეტის 24 [illegible] სხდომაზე, გარდა მოსლის საკითხისა [illegible] აგრეთვე საკითხი ბრიტანეთის ოკუპაცია რეინზე. „დეილი ქრონიკლის“ ცნობით, მთავრობამ გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით ისევ ძველი პოლიტიკა დაიჭიროს. ბრიტანეთის რწმუნებულებმა რეინზე ლორდ არლმანროკმა და გენერალ გოდლეიმ ფრანგებს არ უნდა შეუშალოს სანქციის გატარების დროს მანამ, სანამ ეს ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარს არ შეეხება.

ბრიტანეთის კაბინეტის აზრით, ბრიტანეთის ჯარების გამოწვევა რეინიდან ახლანდელ მომენტში ნიშნავს არა მარტო ვერსალის ხელშეკრულების დაშლას, არამედ ინგლის-საფრანგეთის ანტანტის ბოლოსაც, რაც არაა სასურველი. მაგრამ თუ ფრანგების გამოსვლების განვითარება ბრიტანეთის ხელისუფლებიდან მოითხოვს ასეთ პოლიტიკას, მაშინ დაყონებლივ დადგება საკითხი ბრიტანეთის ჯარების გამოწვევის მიზანშეწონილობის შესახებ ოკუპაცია ქმნილ რაიონიდან.

— **რუსი ემიგრანტები შვეიცარიაში.** ჟენევიდან მოსული ცნობებით, რუს ლტოლვილთა მდგომარეობა შვეიცარიაში მეტად ცუდი არის, მათი მატერიალური მდგომარეობა საშინელია. დიდ უმრავლესობას არა აქვს არავითარი საშუალება არსებობისათვის. ყოველ ამისა შედეგი არის—სილატაკე და სიმშილობა, რომელიც უკანასკნელ ხარისხამდე ადის. არის შემთხვევები შიმშილით სიკვდილისა; ზოგიერთნი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ათავებენ.

— **4000 წლის მუმია.** ამერიკელმა არქეოლოგებმა ლუკროსთან გათხრის დროს იპოვეს 4000 წლიანი ეგვიპტის პრინცესა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს არს ეგვიპტის ცნობილი ლამაზი ქალი პირველი თიბანის დინასტიისა, რომელიც ცხოვრობდა 2180 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე. მუმიაზე არსებულ წარწერებით შესაძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ ის არის ფარაონ ამენხატევის სასახლის ქალი.

რადიო დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

უკან დახევა.

ბერლინი. 15 მარტი. გაზ. „ენტრანსიჟანი“ იტყობინება, რომ საინჟენერო საკავშირო კომისია გადავიდა ესსენიდან დიუსელდორფში.

ახალი დამსჯელი ზომები.

ბერლინი. 15 მარტი. ფრანგული გაზეთების ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ რეკვიზიციების მოსახდენათ შემოიღო ახალი დამსჯელი ღონისძიება.

ოკუპანტები წინააღმდეგნი არიან მშვიდობიან შეთანხმების.

ბერლინი. 15 მარტი. საფრანგეთი და ბელგია თავს ანებებენ რაიმე მოლაპარაკებას და წინააღმდეგნი არიან რურის საკითხში რომელიმე შუამავლის ჩარევის.

ბრიუსელის თათბირის დადგენილებათა დამტკიცება.

ბერლინი. 15 მარტი. ბელგიის მინისტრთა საბჭომ პრემიერ ცენისის მოხსენების შემდეგ ერთხმად მიიღო ყველა დადგენილებები, რომელიც ბრიუსელის თათბირზე იყო გამოტანილი.

გზაჯვარედინზე.

პარიზი. 15 მარტი. ინგლისის თემთა პალატაში ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატ-სეკრეტარმა მაკ-ნიელმა უპასუხა რა შეკითხვაზე, აღნიშნა რომ მისი აზრით რურში მდგომარეობა გზაჯვარედინზეა მისული და როგორც სჩანს გამოსწორდება.

სიმპატიები საფრანგეთისადმი.

პარიზი. 15 მარტი. ლიბერალებმა და „ლამურ პარტიამ“ შეიტანეს პარლამენტში საერთო წინადადება „კეთილ“ განწყობილ ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ, რომელსაც იზიარებს ბონარლოუს კაბინეტი რურის საკითხში. ამ განცხადებამ გამოიწვია ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მხრივ განცხადება საფრანგეთისადმი სიმპატიების შესახებ.

ჩქარობენ გაიტანონ ნაძარცვი.

პარიზი. 15 მარტი. ფრანგები საჩქაროთ ტვირთავენ ვაგონებს სათბობი მასალით, რომელიც მათ ხელში ჩაიგდეს ვერცერ-გოლდის სახელმწიფო მაღაროებში.

ფრანგების პროვოკაცია.

რომი. 15 მარტი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, ბიურში ორი ფრანგის მოკვლა, რომელმაც სისხლის მღვრელი ექსცესები გამოიწვია, თვით ფრანგების მიერ არის ჩადენილი.

პოლიციის განიარაღება.

რომი. 15 მარტი. საფრანგეთის ჯარებმა, დორტმუნდში შესვლისას გაანიარაღეს ადგილობრივი პოლიცია და დააპატიმრეს აფიცრები.

რურის გარეშე გერმანიას არ შეუძლია გადასახადის შეტანა.

ბერლინი. 15 მარტი. ბრიუსელის თათბირის და პუანკარეს განცხადების გამო, რომ საოკუპაციო ხელისუფლების ევაკუაცია შეუძლებელია მხოლოდ გერმანიის დაპირებების მიხედვით ბერლინის პოლიტიკური და პარლამენტის წრეებში ლაპარაკობენ, რომ გერმანიას შეუძლია თავისი ვალდებულებების შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საშუალება ექნება თვითვე განაგოს თავისი სი მრეწველობა და ფინანსები. ეს იმას ნიშნავს, რომ რურის ნახშირიან ადგილების გარეშე გერმანიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გადასახადის შეტანა.

ახალი თათბირი.

ბერლინი. 15 მარტი. „დეილი მეილი“ იუწყება, რომ ფენისს განზრახული აქვს გაემგზავროს პარიზში, სადაც მას თათბირი ექნება ნახშირის და კოქსის რეკვიზიციის შესახებ, აგრეთვე ის საფრანგეთთან ერთად შეიმუშავებს გადამწყვეტ ზომებს სარეპარაციო საკითხის მოწესრიგების მიზნით.

რურის მსხვერპლთა დაკრძალვა.

ბერლინი. 15 მარტი. ბიურიდან იუწყებიან, რომ რურის ექსცესების დროს მოკლული გერმანელები დაასაფლავეს ყოველივე პატივისცემის გარეშე. ფრანგებმა არავინ გაატარეს მოკლულების კუბოებთან.

შვეციის პრესა აღშფოთებულია.

ბერლინი. 15 მარტი. რურში მომხდარ ექსცესების გამო მთელი შვეციის პრესა აღშფოთებულია. განსაკუთრებით „ავტობლოდეტ“-ს აღშფოთებს ის შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა რურში ფრანგების მხრივ.

მოითხოვენ გამომძიებელი კომისიების მოწყობას.

ბერლინი. 15 მარტა. „მანჩესტერ გარდიენ“-ის ბოხუმის კორესპონდენტი მოითხოვს მიეწყოს უპარტიო კონფერენციები რურის საკითხის გამოკვლევის და იმ ძალადობის და რეპრესიების გამოძიების მიზნით, რომელსაც სჩადიან ფრანგები რეხლინგაუზენში, გილზესკირხენში და ბოხუმში, რომლისაც მოწამე თვითონ ის იყო. კორესპონდენტი დარწმუნებული არის, რომ კომისიის გამოძიებით გამოაშკარავდება აღმაშფოთებელი სურათი იმ სიმკაცრის, რომელსაც სჩადიან ფრანგები.

მწარმოებლები თავდაცვითი ომისთვის

ბერლინი 15 მარტი. მწარმოებლების კავშირის კრებაზე, რომელიც მოხდა ბერლინში, დაადგინეს განაგრძონ თავდაცვითი ომი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. შრომის მინისტრმა ბრაუნმა ამ კრებაზე ხაზგასმით აღნიშნა რურის ოლქში წარმოებული ბრძოლის არაჩვეულებრივი ხასიათი რომლის მზგავსი ჯერ ისტორიასაც არ ახსოვს, როდესაც ბრძოლის აპარატი მიმართულია უიარაღო, მაგრამ არა უმწეო მცხოვრებლების წინააღმდეგ.

ახალი პოლიციის ორგანიზაცია

ბერლინი 15 მარტი. ქალაქ ბიურის ფრანგმა კომენდანტმა, ფრანგ ოფიცრების მოკვლის გამო, გამოსცა ბრძანება მუნიციპალურ სამმართველოსადმი ქალაქის პოლიციის ახალი კადრის სასწრაფოდ მოწყობის შესახებ. გერმანელების აზრით, ეს არის ფრანგების მიერ თავიანთი შეცდომის აღიარება გერმანიის პოლიციის ლიკვიდაციის საქმეში.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობა.

მოსკოვი, 15 მარტი. რეინ-ვესტფალიის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობაზე ესენში გამოცხადდა 666 დელეგატი. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენლის გამოსვლამ თავიდანვე მისცა ყრილობას ინტერნაციონალურ-რევოლიუციონური ხასიათი. ყრილობაზე პირველათ გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიული ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, რომლებიც შეადგენდნენ ცალკე ფრაქციას ოცდა თვრამეტი წარმომადგენელისაგან. ამ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია კიცხავს მთლიან პროლეტარულ ფრონტის საბოტაჟის ყოველგვარ ცდას, როგორც დანაშაულებას მუშათა კლასის წინააღმდეგ. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კომუნისტურ პარტიის ცეკას წევრის ბეკერის მოხსენებამ. ძველ კომისიის მიერ არჩეულია ახალი სახელწოდებათ „რეინ-ვერესტფალიის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა და რევოლიუციონერთა კომიტეტი“.

კომუნისტების დაპატიმრება

მოსკოვი. 15 მარტი, საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ დააპატიმრა მანჰეიმში 2 კომუნისტი, რომელსაც ბრალად ედება რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ საპროტესტო პლაკატების გავრცელება. ბადენში და პფალცში ოკუპანტების მიერ დაპატიმრებულია კიდევ 10 კომუნისტი.

ფარულ ორგანიზაციის აღმოჩენა

მოსკოვი. 15 მარტი, დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობების თანახმად რეკლინს გაუზენის მიდამოებში ფრანგების მიერ აღმოჩენილ იქნა ფარული ორგანიზაცია სახელწოდებით: „ახალგაზრდა გერმანია“, რომლის მიზანი იყო მოკავშირეების მიმართ წინააღმდეგობისათვის დახმარება. ბოხუმის ცენტრალურ საპყრობილეს გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ვაზნების და ყუმბარების დიდი რაოდენობა.

საფრანგეთის მოხელეების მოკვლა.

მოსკოვი. 15 მარტი. რეკლინს გაუზენის ახლოს დიურში მიმავალ გზაზე ნახეს მოკლული საფრანგეთის მშრომელი ლეგიონის აფიცერი და საფრანგეთის რკინის გზის აგენტი, რომელიც ასრულებდა სადგურის უფროსის ფუნქციებს. ამის გამო ფრანგებმა წაიყვანეს მძევლებათ ქალ. დიურის ქა-

ლაქის თავი, პოლიციის უფროსი და ორი თანამდებობის პირი.

დაჰკრა საათმა.

მოსკოვი. 15 მარტი. ბერლინის გაზეთები გაცხარებულად არჩევენ პუანკარეს ტენისთან შეხვედრას. საფრანგეთის ოფიციალურ ცნობებით ბრიუსელის თათბირმა უნდა განიხილოს მხოლოდ საკითხები რურში ახალ ნაბიჯების გადადების შესახებ. მაგრამ აქ ამტკიცებენ, რომ კონფერენციის ნამდვილ მიზანს შეადგენს გერმანიასთან მომავალ მოლაპარაკებისათვის საფრანგეთ-ბელგიის საერთო მოქმედების პროგრამის შემუშავება. ამას ამტკიცებს კიდევ ის ფაქტი პუანკარესთან ახლდა საფრანგეთის სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრები და საფრანგეთის მთავრობის სხვა ცნობილი მოღვაწენი. „ფორვერტსი“ ფიქრობს, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები დაჟინებით მოთხოვნის მაინცა და მაინც არ დაიჟინებენ აუცილებლად დაემორჩილონ მათ მოთხოვნილებებს რაც საშუალებას წაართმევდა სოციალ-დემოკრატიის გამოსულიყო საკითხის „გონივრულად“ გადაჭრის სასარგებლოთ. ამ თათბირის გამო ბერლინის ყველა გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანიის საათმა ჩამოჰკრა.

გერმანიის ამბები

შეუთანხმებელთა ინტერნაციონალებში.

მოსკოვი 15 მარტი. უნგრეთის და ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელთა კომისია, რომელიც იმუშავებს საკითხს ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ და აგრეთვე გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობის გამომრკვევი კომისია, შეიკრიბებიან კონფერენციაზე ბრეგენცში 5 აპრილს.

შეტაკება ფაშისტებთან.

მოსკოვი 15 მარტი. გერმანიის ფაშისტები, იტალიის ფაშისტების მაგალითის მსგავსად, ერთ-ერთ ბერლინის კრებაზე გამოვიდნენ განსაკუთრებულ ტანთსაცმელში. ნაციონალისტების უკანასკნელ კრება ერტნერში, ბერლინის ახლოს, გარეკილ იქნა ადგილობრივ კომუნისტების მიერ, მათთვის დასახმარებლათ მისულ რამოდენიმე ათას ბერლინის მუშებთან ერთად. ფაშისტებთან მომხდარ შეტაკებაში გაიმარჯვეს მუშებმა. დაჭრილია ნაციონალისტების დიდი რიცხვი.

გადასახადების გადიდება.

მოსკოვი 15 მარტი. რეისსტაგში გადასახადის გადიდების შესახებ კანონპროექტის გარჩევის დროს, ბურჟუაზიულ პარტიებმა შეიტანეს კანონპროექტში შესწორება, რომელიც შეღავათს აძლევდა შეძლებულ კლასს. მათ შესწორების უარყოფის შემდეგ ბურჟუაზიულ უმრავლესობამ, ქვორუმის ჩაშლის მიზნით, დასტოვა სხდომის დარბაზი.

ავიწროებენ მუშებს

მოსკოვი. 15 მარტი, მარკის სტაბილიზაციის გამო გერმანიის მთავრობა ცდილობს მოახდინოს ხელფასის სტაბილიზაცია. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშებს შორის პროფკავშირებმა მიმართეს პროტესტით შრომის მინისტრს ბრაუნს, რომელიც არ თანაუგრძნობს ამ კანონ-პროექტს კუნო და სახალხო მეურნეობის მინისტრი ბეკერი დაჟინებით მოითხოვენ ხელფასის სტაბილიზაციას.

გადადიან მოქმედებაზე

მოსკოვი. 15 მარტი, გერმანიის პროლეტარიატი სულ უფრო და უფრო მეტ აქტივობას იჩენს ლითონის წარმოების მუშები და ფეიქრები მოითხოვენ ხელფასის 100-პროც. გადიდებას. მდგომარეობა საქსონიის ქიმიურ მრეწველობაში გამწვავდა, სადაც მუშების ერთმა ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა. ამის საპასუხოდ მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოაცხადეს.

მელითონეთა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენუმში.

მოსკოვი. 15 მარტი, გერმანიის მელითონეთა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენუმში დრეზდენში მოხსენება გააკეთა საქსონიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა ცელინგმა, რომელიც მოითხოვდა კომუნისტების მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილებების უარყოფას. კრებამ დაადგინა მოუსმინოს ლანდტაგის დეპუტატს კომუნისტ რენკერს თანამომხსენებლის სახით და ხმების დიდი უმრავლესობით დაადგინა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია.

ხელისუფლების კრიზისი საქსონიაში

მოსკოვი. 15 მარტი, საქსონიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კომისიის მოლაპარაკება კომუნისტებთან საქსონიის მთავრობის შედგენის შესახებ უშედეგოდ დამთავრდა. ს.-დემოკრატები ილაშქრებენ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის პროფკავშირის მონაწილეების გარეშე მოწვევის წინააღმდეგ, ამის საპასუხოდ კომუნისტებმა წინადადება მისცეს კონგრესის მოწვევის სადავო საკითხი პლებისციტით გადასწყდეს წარმოებებში. ამ წინადადების უარყოფის შემდეგ კომუნისტებმა განაცხადეს, რომ შეიქნა ახალი პოლიტიკური სიტუაცია, რომლის განხილვა საჭირო მოხდეს კომუნისტურ პარტიის გაფართოებულ კონფერენციაზე ლიპინსკი „ფორვერტსში“ ამტკიცებს რომ კომუნისტების წინადადების უარყოფის შემდეგ, მთავრობაში კომუნისტების შესვლა შეუძლებელია. ლიპინსკი მოლაპარაკების მარცხით გათავებას პროფკავშირებს აბრალებს.

ახლო აღმოსავლეთი

ამხ. აბილოვის წამოსვენება.

ანგორა, 15 მარტი, ანგორიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. აბილოვის გვამი წამოასვენეს სმირნიდან სტამბოლზე რუსეთში 12 მარტს. წამოსვენების დროს ამხ. აბილოვის ნეშთს სამხედრო პატივი სცეს.

საფრანგეთის გემის ავარია.

ბერლინი, 15 მარტი. იტალიიდან მიღებულ ცნობების თანახმად საფრანგეთის სამხედრო გემის ავარიის დროს პირეიაში დაიღუპა 350 კაცი.

იტალიის ფაშისტები სტამბოლში.

რომი, 15 მარტი. ოსმალეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ სტამბოლში დაარსდა იტალიის ფაშისტების სექცია.

იტალიას ეშინია ანტანტის პრესტიჟის დაცემის.

რომი, 15 მარტი. იტალიის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ ოსმალეთის მიერ კუნძულ კასტელო-რიცონზე წარდგენილი პრეტენზიებს წინააღმდეგობას გაუწევს იტალია და იმედოვნებენ, რომ ამ საკითხში იტალიას მხარს დაუჭერენ საფრანგეთი და ინგლისი, რომელნიც არ დაუშვებენ ანტანტის პრესტიჟის დაცემას.

შორეულ აღმოსავლეთში

კაბინეტის კრიზისი.

მოსკოვი 15 მარტი. პეკინიდან იტყობინებიან, რომ საკითხი პეკინის კაბინეტის გადადგომის შესახებ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. ტიანცზინის გენერლების ხროვა აწარმოებს შუამავლობას პრემიერსა და მილიტარისტებს შორის.

ჩინეთის მოთხოვნილება.

მოსკოვი 15 მარტი. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასცა იაპონიის ელჩს პეკინში ნოტა, რომელიც მოითხოვს 1915 წლის ხელშეკრულების გაუქმებას და წინადადება მისცა დანიშნულ იქნას მოლაპარაკება ჩინეთისათვის პორტ-არტურისა და დაირენის დაბრუნების შესახებ და აგრეთვე სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც შეეხება ამ ხელშეკრულებას. იაპონო-ფილების ორგანო „ნორდ-მაინა სტანდარტი“ სასაცილოდ სთვლის ჩინეთის ნოტას და აცხადებს, რომ იაპონია არასოდეს არ აიღებს ხელს თავის უფლებებზე მანჯურიაში.

საბჭოთა რუსეთთან კავშირისათვის.

მოსკოვი 15 მარტი. პეკინში მოხდა დიდი დემონსტრაცია ლოზუნგებით „ძირს მილიტარიზმი“, „გაუმარჯოს ხალხის უფლებებს და საბჭოთა რუსეთთან კავშირს.

ჩინეთის რკინის-გზელები არ ნებდებიან.

მოსკოვი 15 მარტი. მიუხედავათ დაპატიმრებებისა და სიმკაცრისა, ხანკოუს რკინის გზელთა შორის მეფობს წინანდებულად ბრძოლის განწყობილება. ელიან გაფიცვების განახლებას.

უცხოეთი

თუმცა უკმაყოფილონი არიან, მაგრამ მაინც სცნობენ.

მოსკოვი, 15 მარტი. ვაშინგტონის სააგენტოს „იუნაიტედ პრესს“-ის ცნობით ამერიკის მთავრობის წრეები, მიუხედავად ჩიჩერინის განცხადებისა ინტერვიუში ამავე სააგენტოს წარმომადგენელთან, სკეპტიკურად უყურებენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესაძლებლობას. გაეცნენ რა ამერიკის მთავრობის წარმომადგენელის განცხადებას, გადაჭრით აღნიშნავენ, რომ რუსეთისა და ამერიკის ურთიერთ დამოკიდებულება არ შეცვლილა მათი აზრით, რუსეთი არ მისცემს გარანტიას უცხოელთა საკუთრების და ხელშეკრულებების საკითხში. ამერიკის წრეებში აღნიშნავენ, რომ მრავალ წარმოებებს და ქონებას, რომელიც ეკუთვნოდა ამერიკელებს, კონფისკაცია უყვეს ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ და ამ დრომდე არ დაუბრუნებიათ. საბჭოთა მთავრობა არ სცნობს აგრეთვე რუსეთის ვალს ამერიკის მიმართ, რომელიც უდრის 117 მილ. დოლარს. იმავე დროს მთავრობის წრეებში განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ ამერიკის ეხლანდელი მთავრობა სრულებით არ მიისწრაფვის ჩამოაგდოს საბჭოთა ხელისუფლება. ამაში მდებარეობს გარდინგის პოლიტიკის და ვილსონის პოლიტიკის განსხვავება. ამერიკა თხოულობს მხოლოდ, რომ საბჭოთა მთავრობამ დაჰპირდეს გარანტია საზოგადო და კერძო ხელშეკრულებების. მიუხედავად საბჭოთა საწინააღმდეგო პოზიციისა, რუსეთის ტელეგრაფის სააგენოტს კორესპონდენტმა იუზამ სარწმუნო წყაროებიდან გაიგო, რომ უკანასკნელ დროს მოხდა განწყობილების საგრძნობი შეცვლა ამერიკის წრეების ყველაზე უფრო კონსერვატიულ ელემენტებშიაც კი, რომლებმაც თანდათანობით შეიგნეს საბჭოთა რუსეთის ცნობის აუცილებლობა.

დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს.

მოსკოვი 15 მარტი. ამერიკის მთავრობა უკმაყოფილოა საფრანგეთის წინადადებით, აუნაზღაურონ ამერიკის არმიის შესანახი ხარჯები რეინის ოლქში გერმანიის მომავალ სარეპარაციო გადასახადებებიდან და მოითხოვს, რათა ეს ხარჯები დაფარულ იქნას იმ თანხებიდან, რომელიც მოკავშირეებმა უკვე მიიღეს გერმანიისაგან.

ვაშინგტონის კომუნისტების პროცესი.

მოსკოვი 15 მარტი. მიჩიგანის 10 კომუნისტმა, რომელთაც ბრალი ედებათ მიჩიგანში გამართულ კომუნისტურ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაში, თავის ნებით ჩაუვარდნენ ხელში მიჩიგანის პოლიციას. ეს ნაბიჯი გადადგმულია პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დასტურით, რომელიც თავის განცხადებაში განმარტავს, რომ 10 ამხანაგი დანებდა არა ბურჟუაზიულ იუსტიციისადმი ნდობის გამო, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან იმაში, რომ ამერიკის მუშათა კლასი მხარს დაუჭერს დაპატიმრებულ ამხანაგებს. სასამართლოს პროცესის დაწყება დანიშნულია 17 მარტისათვის.

რუსეთი

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

მოსკოვი. 13 მარტი. გუშინდელი დღის განმავლობაში მარჯვენა ფეხის და მარჯვენა ხელის სუსუსტის გარდა ვლადიმერ ილიჩს დაეტყო მეტყველების მცირეოდენი შეშლა. დღეს ხელი და ფეხი იმავე მდგომარეობაშია. ვლადიმერ ილიჩის მეტყველების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ტემპერატურა—37,1. მაჯისცემა წუთში—100 სწორით.

13 მარტი დღის 3 საათი, პროფესორები, მინკოვსკი, ფერსტერი, კრომერი.

პრივატდოცენტი ფორეევნიკოვი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი სიმაშკო.

მოსკოვი. 14 მარტი. მეტყველების დაბრკოლება, მარჯვენა ხელის და მარჯვენა ფეხის სისუსტე იმავე მდგომარეობაშია. ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა გამოკეთდა. ტემპერატურა—37, მაჯისცემა წუთში—90, სწორი, კარგი გავსებით.

14 მარტი, დღის 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი. პრივატდოცენტი: კოჟევნიკოვი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

სხვა და სხვა ამბები

მემელი.

ბორდო. 15 მარტი. [illegible] იტყობინება, რომ ლიტვამ აცნობა საფრანგეთის, რომ მან მიიღო ელჩის [illegible] დადგენილება მემელის შესახებ.

ცეცხლი გაჩნდა ჰამბურგში.

ბერლინი. 15 მარტი. 13 მარტს ჰამბურგში გაჩნდა ცეცხლი გადაიწვა ინგლისის სატრანსპორტო გემი „ბენგენუტო“ ფქვილის საწყობები და აგრეთვე წისქვილები ნავთსადგურში. ცეცხლისაგან მიყენებული ზარალი ათეულ მილიარდებს უდრის.

საფრანგეთის ჯარში გაწვევა.

პარიზი. 16 მარტი. საფრანგეთის არმიაში 1923 წ. ჰასაკის პირველი კონტინგენტის გაწვევა დანიშნულია 10 მაისისათვის.

ელჩთა კონფერენცია.

პარიზი. 15 მარტი. ელჩთა კონფერენციამ ოთხშაბათის დილის სხდომაზე პარიზში დაადგინა მიუსაჯოს პოლონეთს ვილნოს ტერიტორია.

ახალი ამბები.

— **სამოქალაქო გადასახადის აკრეფა.** გასული 1922 წლის სამოქალაქო გადასახადის აკრეფა სამისამართო მაგიდის მიერ კიდევ გრძელდება. ჯერ-ჯერობით ტფილისიდან აკრეფილია, მთელი ასაკრეფ საგადასახადო თანხიდან 70 პროც.-მდე; მიუხედავათ იმისა, რომ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით უნდა მოკრეფილიყო 20 მილიარდი მანეთი, დღევანდელ დღემდის აკრეფილია სულ 22,504 მილიონი მანეთამდე. ჯერ ხნობით კიდევ მოსალოდნელია დანარჩენის აკრეფვაც.

— **სანიტარული გადასახადის მიმდინარეობა.** გასული 1922 და მიმდინარე 23 წლის სანიტარულ გადასახადის აკრეფვიდან ჯერ-ჯერობით გადახდილი აქვს ქ. ტფილისში და მისი რაიონებიდან სულ 107.359 მოქალაქეს. განთავისუფლებულნი არიან ზემოაღნიშნულ გადასახადისაგან 121.458 მოქალაქე (აქ შედიან მუშა-მოსამსახურენი და ულარიბესი მოქალაქენი). ამრიგათ სულ რეგისტრაციაში გატარებული არის 228.817 მოქალაქე გადამხდელი.

ეკონომიური ცხოვრება

აბრეშუმის თესლი. საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატისა და „აზაბრეშუმისათვის“ შესყიდული არის აბრეშუმის თესლი 1500.000 ფრანკისა.

— **თამბაქოს ტრესტში.** თამბაქოს ტრესტსა და აფხაზეთის მეთამბაქოეთა შორის დადებულია ხელშეკრულება გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, თამბაქოს ტრესტი აძლევს მეთამბაქოებს 15 ათას ფუთ ნავთს თამბაქოს სამაგიეროთ—ერთ ფუთ თამბაქოზე 4 ნახ. ფ. ნავთს.

— **ღვინის ტრესტი.** აქციზი ტრესტის ნაწარმოებებზე, თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა, 100 პროც.-ით არის გადიდებული; მიუხედავათ ამისა ტრესტს თავის ფაბრიკატებზე ფასები არ აუწევია, იმ დროს როდესაც კერძო ქარხნებმა ის საგრძნობლად ასწიეს.

— **ტყის საცდელი საქმის მოწესრიგება.** მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს ახლო მომავლისათვის გახსნას სატყეო საცდელი სადგურები, საქართველოს ტყეების გამოსაყენებლათ, როგორც მეცნიერული ობიექტის; ასეთ სადგურის დაარსებას მიზნათ აქვს ტყეების შესწავლა ტიპების, ბიოლოგიის და სხ. მხრით.

პარტიაში

დღეს პარასკევს 16 მარტს, საღ. 7 საათზე დანიშნულია **პირველ და მეორე უბნის კომიტეტის სხდომა** გაზეთ „ტრიბუნა“-ს რედაქციაში კომიტეტის წევრები მოვალენი არიან გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე.

— კვირას, მარტის 18-ს, დილის 12 საათზე „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარკომიტეტის სხდომა.

პარტიული ცხოვრება

ტფილისი. პარასკევს, მარტის 9-ს, პარტიის ცენტრალურ ბიუროში შესდგა პირველ და მეორე უბნის ამხანაგების შეერთებული კრება. კრებას დაესწრო პარტწევრთა საკმაო რიცხვი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. მ. სეფერთელაძე, მდივნად—ამხ. გ. ლასკარი. დღის წეს-რიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) პარტიული მუშაობა; 2) გაერთიანებული უბნების კომიტეტის არჩევნები; 3) მიმდინარე საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. პ. ჰანიშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა პარტმუშაობის გაცხოველების აუცილებლობა და ის საშუალებანი, რომლითაც შესაძლებელია პრაქტიკულ შედეგების მიღწევა მუშაობის სფეროში. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. მიღებულ იქმნა ერთხმად შესაფერისი რეზოლიუცია. შემდეგ მოხდა საუბნო კომიტეტის არჩევნები. არჩეულია შემდეგი ამხანაგები: კვირკველია პლატონ, ხოფერია გრიშა, სირაძე ტკაკო, ლასკარი გრიგოლ და ბერიკაცაშვილი.

არჩეულ იქმნა აგრეთვე სარევიზიო კომისია სამი კაცისაგან შემდგარი.

კრება დაიშალა საღამოს 10 საათზე.

პროლეტარი.

წერილი პეტროგრადიდან

სკოლის დახმარების კვირეული.

5 თებერვლიდან საბჭოთა მთავრობის მოწოდებით, დაიწყო პეტროგრადში სკოლის დახმარების კვირეული. ფართო, შინაარსიანი მოწოდებებით აჭრელდა ქუჩები, სახელმწიფოებრივი დაწესებულებები და ორგანიზაციები. ძველ, ნაცად იარაღით— ერთხმად, მედგარ და ერთსულოვან შეტევით—პეტროგრადის პროლეტარიატმა მოისურვა, დღემდის მის მზრუნველობას მოკლებულ სკოლის, საღ და მტკიცე ნიადაგზე დაყენება. საგარეო და შინაურმა ფრონტებმა, საერთო აშლილობამ ყოველ დარგში, წარმოების მინიმუმამდე დაცემამ, გამოწვეულმა სიმშილიანობამ, შეძლება არ მისცა საბჭოთა მთავრობას წასულ ხუთი წლის განმავლობაში მთავარი ყურადღება მიექცია განათლებისათვის. მთავრობამ, თუმცა აუარებელ სკოლებით მოჰფინა რესპუბლიკა, აუარებელი ბავშთა სახლები და ბაღები დახსნა, თუმცა ეს დაწესებულებანი ბავშებით სრულიად აივსო, მაგრამ ამავე დროს როგორც სკოლები, ისე ბავშები თავის ანაბრათ იქმნენ მიტოვებულნი. მთავრობამ გახსნილი სკოლები ვერ უზრუნველყო მატერიალურად, ვერ აურჩია სათანადო აღმზრდელი პერსონალი, ხოლო ზემოხსენებულ დაშლა-ნგრევით შეტანილმა დეზორგანიზაციამ, მშობლებსაც აღარ მისცა შეძლება და დრო თვალ-ყური ედევნებია თავის შვილებისათვის. ამნაირად ერთი მხრივ აუარებელი სკოლები, აუარებელი ბავშები, მეორე მხრივ-კი გზაზე დამყენებელ, გამშინჯველ თვალის უარსებობა, მიზეზათ შეიქნა იმისა, რომ აღსაზრდელი მოზარდი თაობა გამოეჩვია ქუჩას. ცხოვრების მახინჯ სახის უცოდინარმა მოზარდმა თაობამ, მთელი თავის უმანკო სულით დაეწაფა ქუჩის გახრწნილებას. ქუჩა შეიჭრა როგორც ოჯახში, ისე სკოლაში. გარეთ და შიგნით, ქუჩაში, ოჯახში და სკოლაში გარყვნილებამ მტკიცე საბუდარი გაიჩინა. ქუჩები აივსო პატარა, მოზარდ ხულიგანებით, თუთუნ-პაპიროზების გამყიდველებით, პატარა როსკიპებით, სენების გამვრცელებლებით, მოვაჭრეებით, ქურდ-ჯიბგირებით. გაიარეთ პეტროგრადის ქუჩებში შეხვალთ კინოებში, ან ნახავთ თეატრ-მინიატურებს და ახალგაზდათა საღამოებ-ბალებს, თქვენ იხილავთ გარყვნილებას დაუფარველს, შეუკავებელს, მთელ თავის შემაძრწუნებელ სიტიტვლით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ ერთ-ერთი მიზეზი ეგეთი მოვლენისა იყო მატერიალური უზრუნველყოფა აუარებელ გახსნილ სკოლებისა და ოჯახის და რესპუბლიკის მიერ უყურადღებლობა მოზარდ თაობისადმი. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ერთი მხრივ საკმაოდ შეამცირა სკოლათა რიცხვი, მეორე მხრივ-კი უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა მატერიალური მდგომარეობა სკოლისა. თუ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებამდე საერთო განათლების სკოლათა რაოდენობა პეტროგრადში უდრიდა—2385, შემდეგ შემცირებულ იქნა 1584-მდის; ეგეთივედ შემცირდა პროფშკოლები, პოლიტიკურ-საგანმანათებლო, მოზრდილთათვის და სხვანი; დახურულ იქნა 117 ბავშთა სახლი, 155 სკოლის ასაკამდე ბავშთათვის დაწესებულება, რის გამო უპატრონოთ დარჩა 97,770 ბავში.

დარჩენილი სკოლები და ბავშთა სახლები სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდენ დღემდისაც ამავე უნუგეშო სურათს წარმოადგენენ. სკოლები გაჭედილია ბავშებით (თითოეულ კლასში 122 მოწაფე), მათ არ მოეპოვება შეშა, სინათლე, კედლები დასველებული და დაწვირიანებულია, სახურავი დაცხრილული; მასწავლებლობა ხომ სრულიად მიტოვებულია: თითქმის არც ერთი დარგის მუშა-მოსამსახურე არ იღებს ეგეთ მცირე ჯამაგირს როგორც მასწავლებლობა. საილუსტრაციოთ მივიყვანთ შემდეგ შედარებას: თუ არსებობისათვის საჭირო მინიმუმად მივიღებთ 100, ამის და მიხედვით დამმუშავებელნი იღებენ—81,* საღმშენებლო დარგის მუშები—76, ლითონზე მომუშავენი—48 ხოლო მასწავლებლები—12. *) ამნაირად თვიურ ჯამაგირით მასწავლებელს შეუძლიან იარსებოს მხოლოდ 5—8 დღის განმავლობაში; ამ ჯამაგირსაც-კი იღებს 1—2 თვის დაგვიანებით.

(დასასრული იქნება)

ტ. ჩუბინიძე

---

*) წერილში ჩართული ციფრები რაოდენობისა მოხსენებული იყო ამხ. ციპეროვიჩის და ლილინას მიერ პეტროგუბის აღმასკომის პირველ სესიის სხდომაზე 3 თებერვალს 1922 წ.

მენშევიკური პარტიის რღვევა

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამით ვაცხადებ, რომ, ჩემს მიერ სრულიად შეგნებულად მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, თავს ვანებებ ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას.

საჭიროდ მიმაჩნია ამას დაუმატო, რომ ყოველთვის ვიყავი და ვარ წინააღმდეგი შეიარაღებული ბრძოლის არსებულ ძალა-უფლების წინააღმდეგ და ყოველგვარ იმპერიალისტურ ინტერვენციის საქართველოს საქმეებში.

ვიქტორ თევზაია.

28 თებერვალი, 1923 წ.

— —

პატივცემულო ამხანაგო მიხა!

გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ წელიწადნახევარი მეტია, რაც საკანში ვარ და კარში არ გამოვსულვარ, თქვენი პარტიის წინააღმდეგ არც მიმუშავია, არც ეხლა ვმუშაობ და არც მომავალში ვფიქრობ მუშაობას. რაც შეეხება უფრო შორეულ წარსულს, ვგონებ უსარგებლო არ ვიყავი იმ თქვენი პარტიის დამამშვენებელი ამხანაგებისათვის, რომლებიც პირდაპირ მოდიოდენ ჩემთან ამხ. მიხას წერილებით. ასეთები იყვნენ ალიოშა ჯაფარიძე ბაქოში, საშა წულუკიძე ტფილისში და სხვა. რათ უნდა ჩამეთვალოს ცოდვათ, რომ ვიყო და მოვკვდე იმ მესამე დასელათ, რომელიც თქვენ თვითონ შექმენით და რომლის წევრადაც თქვენ თვითონ მომნათლეთ.

დანარჩენი თქვენთვის მომინდვია.

პირადათ მუდამ თქვენი პატივისმცემელი **პეტრე გელეიშვილი.**

20 თებერვალი 1923 წელი.

— —

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი განცხადება.

1915 წლიდან—1923 წლის თებერვლამდე, როგორც ლეგალურად, ისე არალეგალურად მე ვმუშაობდი სოც.-დემ. (მენშევიკების) პარტიაში. ამ დროის განმავლობაში პირნათლად ვეწეოდი პოლიტიკურ მოღვაწეობას და ვასრულებდი პარტიის ყოველგვარ მოთხოვნილებას და დავალებას. მიუხედავათ ამისა ამა წლის 5 თებერვალს მე გავხდი მსხვერპლი კერძო ინტერესებზე დამყარებული მენშევიკების ჩვეულებრივი პროვოკაციისა.

ღამის 7 საათზე, პარტიის სახელით საკუთარ ბინაზე ჩემთან მოვიდნენ ოთხი კაცი. ვინაიდან მე დილას გაფრთხილებული ვიყავი ცეკას წარმომადგენლის მიერ, პარტიისგან დირექტივების მისაღებად მეცადა საკუთარ ბინაზე საღამოს დანიშნულ დრომდე, მე მათ შინ დავხვდი და დირექტივების მაგიერ მათგან მოვისმინე ყოველმხრივ უსაბუთო ბრალდება, რომ ვითომც მე პარტიის მოღალატე ვიყო და ამას ხსენებულები ასაბუთებდნენ ერთი იმ მოვლენით, რომ ამაში ისინი დაარწმუნა ვიღაც პასუხისმგებელმა კომუნისტმა, მეორეთ იმით, რომ საგანგებო კომისიამ იცის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრის ზოგიერთი ისეთი მიწერ-მოწერისა, რომელიც ჩემს ხელში გადიოდა.

როდესაც მე მათ დაუმტკიცე, რომ კორესპონდენციას მე 3—4 ხელიდან ვღებულობდი და უშუალოთაც არ ვაგზავნიდი დანიშნულებისამებრ, პასუხად მათგან მოვისმინე მენშევიკების ცენტრ. კომიტეტის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩემი სიკვდილით დასჯის შესახებ, შენიშვნით, რომ თუ კი გამოუტყდებოდი მათ წარმომადგენლებს, გამგზავნიდენ საზღვარ-გარედ. ვინაიდან დამაკმაყოფილებელი პასუხი ჩემგან ვერ მიიღეს, რადგანაც ვერ მოვიტყუე, რომ მოღალატე ვარ მეთქი, ბანდიტები შეუდგნენ განაჩენის სისრულეში მოყვანას.

მიუხედავად იმისა, რომ სამი მათგანი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩემს მოკვლაში (ერთი კი კარებთან იდგა), მე მოულოდნელად, ფიზიკური სიკვდილისაგან გადავრჩი და შევეცადე მომხდარი ინციდენტის ვითარების გამორკვევამდე ეს არ გამომხმეღავნებინა, მაგრამ ყაჩაღებმა მეორე დილას მთელ ქალაქს აცნობეს მათ მიერ ლაჩრულად ჩადენილი სისაძაგლე.

საგანგებო კომისიამ გაიგო თუ არა მომხდარი ინციდენტის შესახებ, ჩემ შესაპყრობათ მიიღო ზომები. ამიტომაც დღემდე იძულებული გავხდი გადავსულიყავი არალეგალურ ცხოვრებაზე.

ინციდენტის მეორე დღესვე მე დავიწყე მოლაპარაკება მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან. ჩემს პირველ შეკითხვაზე, თუ რაში იყო საქმე, პასუხად მივიღე, რომ მან ამ საქმის არაფერი იცის და არავითარი განაჩენის გამოტანას ჩემზედ ადგილი არ ჰქონია. ჩემი გასამართლების კატეგორიული მოთხოვნაზედ, მივიღე პასუხი, რომელიც გამოხატავდა ხსენებულ კომიტეტის ორჭოფობას. ამ პასუხში სწერდნენ:

„თუმცა კვლევა-ძიებამ ნათელჰყო თქვენი დანაშაულობა, მაგრამ უკანასკნელმა ცნობებმა და ამბებმა ერთგვარი გაუგებრობა დაბადა და წინანდელი დასკვნები ეჭვის ქვეშ დააყენა. ამიტომ ცეკას შესაძლებლად მიაჩნია მოხდეს გასამართლება. თქვენ გეძლევათ საშვალება გაეცნოთ ბრალდებებს, და თქვენი ახსნა-განმარტება წარმოადგინოთ, რის შემდეგ ცეკა დაკითხავს მოწმებს და შეკითხვებზე პასუხს მოვითხოვთ. თქვენ ბრალად გედებათ:

1) ცეკას ერთი წევრის მიწერ-მოწერის გადაცემა ჩეკისათვის.

2) ელიზბარის წერილის და გაზეთების გადაცემა ჩეკისათვის და

3) ცეკას მუშაობის შესახებ, საერთო ინფორმაციის მოწოდება.

თქვენი ახსნა განმარტება წარმოადგინეთ მოკლე ხანში თუ თქვენ ამ ბრალდებებს უარყოფთ, საჭიროა გვაცნობოთ თქვენი აზრი, რა გზით შეიძლებოდა მოწინააღმდეგეებს მიეღოთ ხსენებული ცნობები. ჩეკასთან ახლო მდგომი პირები თქვენ გთვლიან დამნაშავეთ; ვიმეორებთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ სიმართლის გამორკვევა და საქმის ლიკვიდაცია და არა რომელიმე პირის დასჯა. „იმ საღამოს“ ჩვენი წარმომადგენლის დაპირება ამ მხრივ ძალაში რჩება. ველით თქვენს გულწრფელ განმარტებას.

საქ. ს. დ. მ. პ. ც. კომიტეტი.

ასეთი იყო მათი პასუხი ჩემს მეორე მიმართვაზე.

ბრალდებებზე ვუპასუხე, როგორც „ინციდენტის საღამოს“, რომ მიწერ-მოწერა და გაზეთები რამოდენიმეს ხელში გადადიოდა და ყოველივე ამას ინფორმაციასთან ერთად თუ ვინ მიაწვდიდა ჩეკას—არ ვიცი.

ცეკამ ჩემს განმარტებაზე 20 დღის განმავლობაში პასუხი არ მომცა. ამ დროს განმავლობაში, როგორც შემდეგშიაც, არც მოწმებისთვის დაუკითხავთ და არც სხვაფრივ ჰქონია ადგილი კვლევა-ძიებას. მხოლოდ, წინანდებურად მითვლიან ზეპირად და ქალაქშიდაც ავრცელებენ ხმას, რომ მათთვის აშკარაა ჩემი დანაშაულობა და ამის ირგვლივ ავრცელებენ სხვა და სხვა ჭორებს, ვითომც საგანგებო კომისიის მიერ ჩემი დევნა—ფიქცია იყოს, თითქმის ვითომცდა ვცხოვრობდე კომუნისტებთან, ჩეკის პასუხისმგებელი თანამშრომლებთან ერთად და სხვა.

საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ყოველივე ეს არის პროვოკაცია. როგორც ზევით ითქვა, ის დამყარებულია კერძო ინტერესებზე და აგებული ყალბ ცნობებზე. თუ მენშევიკებს აინტერესებს არა ლეგალურ მდგომარეობის დროს თუ სად და სად ვცხოვრობდი, მომთხოვონ და თითეულ ბინაზე იქნება ჩემ მიერ მითითებული. მაგრამ უპასუხისმგებლო ხალხი რათ შეიწუხებს თავს—დეე წამოროშოს რამე, გამოლანძღოს ადამიანი და მით ისიამოვნოს.

მე მოვითხოვ მათგან აცნობოს საზოგადოებას, თავიანთი არალეგალური ორგანოს საშვალებით, თუ რაში გამოიხატება ჩემი ღალატი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მე მათთან მქონდა მჭიდრო კავშირი და რა ზიანი მიმიყენებია მათთვის.

ცნობისათვის ერთი თვეა, რაც მე მათთან კავშირი შეწყვეტილი მაქვს, წინეთ კი ცეკასთან ვიყავი დაახლოებული და საგრძნობი ზიანის მიყენებაც შემეძლო, რომ მეღალატნა და ბრალსა მდებენ კი უბრალო მიწერ მოწერის შინაარსის ჩეკასადმი გადაცემაში. მაგრამ რა არის გასაკვირალი იმ ხალხისაგან, რომელიც ადამიანს ასამართლებს მასზე სიკვდილის განაჩენის გამოტანის შემდეგ? განა სიყალბე არ არის, რომ მათ აინტერესებს „მხოლოდ სიმართლის გამორკვევა და საქმის ლიკვიდაცია და არა რომელიმე პირის დასჯა“? განა ისინი პიროვნებას ანგარიშს უწევენ? ჩადენილი სისულელის შემდეგ განა მათთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა? განა ის ხალხი, რომელიც ჯერ ირწმუნება, რომ ინცინდენტის შესახებ არაფერი იცის, მერმე კი წერილში სწერს: „ჩვენი წარმომადგენლის იმ საღამოს, დაპირება ძალაში რჩება“—რამე სიმართლის გზას დაადგება, ან სიმართლეს გამოამჟღავნებს?

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მენშევიკები არ თაკილობენ არავითარ საშუალებას (სიტყვით თუ საქმით) მხოლოდ თავიანთ მიერ გადადგმული, თუმც რომ სულელური ნაბიჯები, ხალხს სწორათ დაანახონ. რათ გამიკვირდება, რომ მე მიმსხვერპლონ, როდესაც მთელი მათი პოლიტიკა მიმართულია საქართველოს მშრომელთა მასის დაღუპვისაკენ.

ვინ არ იცის, რომ აჯანყება, ტერორები და იმპერიალისტური ინტერვენცია ძირიან-ფესვიანად დამღუპველია საქართველოს მშრომელი ხალხისათვის. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ვინაიდან სუყველამ იცის, რომ მენშევიკებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული აჯანყების მოხდენა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი საგარეო პოლიტიკის საქმე გართულდებოდა. მაგრამ დღეს რა მესმის? ცნობილი მენშევიკი თევზაია პარტიას თავს ანებებს და ამ მოვლენას ასაბუთებს მით, რომ ის წინააღმდეგია „შეიარაღებული ბრძოლის არსებულ ძალა-უფლების წინააომდეგ და იმპერიალისტურ ინტერვეციის საქართველოს საქმეებში“. ეს განცხადება აშკარად ამტკიცებს მენშევიკების მომავალ პერსპექტივებს და მათი დღევანდელი მოქმედების გეზს.

პარტიაში თევზაია ის წევრი გახლდათ, რომელმაც არა ერთხელ იხსნა საქართველო მენშევიკების მიერ განზრახული შეიარაღებული აჯანყებისაგან. დღეს ჩემთვის და ბევრი მენშევიკებისათვისაც აშკარაა, რომ მან, ჩვეულებისამებრ, პარტიაზე, ამ მხრივ გავლენა ვერ მოახდინა, ამიტომაც იძულებული ხდება დახელოვნებულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღოს; და ასეთ წინდახედულ ადამიანს დღეს უპასუხისმგებლო ჯგუფი მენშევიკებისა შერყეულ ჭკუის პატრონათ ნათლავს. დეე, საქართველოს მშრომელმა მასსამ განსაჯოს, თუ ვინ არის მისი მოღალატე, ვინც მოუწოდებს მას მშვიდობიანობისაკენ და კულტურულ აღორძინებისაკენ, თუ ის ჯგუფი, რომელიც მას უმზადებს სისხლის მორევში ცურვას და ქართველი მშრომელი ხალხის სამუდამოთ მოსპობას.

მენშევიკების უტაქტიკო და ამ მოღალატური ყოველგვარ მოქმედებას უკვე გრძნობს ხალხი და ეს არის უმთავრესი მიზეზი ამ პარტიაში რღვევის პროცესის დაწყებისა.

უდავოა ჩემთვის, რომ დაწყებული პროცესი თავის ლოღიკურ დასკვნამდე დავა და მათ ნაძირალების მეტი არავინ შერჩება.

მე კი პირადათ, დღეიდან, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ გამოვდივარ მენშევიკების პარტიიდან და, ვრჩები რა ყოველგვარ პარტიის გარეშე, ხელს ვიღებ პოლიტიკურ მუშაობაზე.

ტფილისის მე-12 [illegible]
წავლებელი ა. ე. [illegible]
ქ. ტფილისი.
1923 წ.
3 მარტი.

ტეხნიკა და მეცნიერება

სამხედრო ტეხნიკის მიღწევანი. ამერიკაში გამოგონებულ იქნა ელექტრონის ზარბაზანი 500—600 ვერსის გასროლის მანძილით და 300 ფუთი ყუმბარის სიმძიმით. ახალი ელექტროული ტყვიის მფრქვეველები ისვრიან მეტად შორეულ მანძილზე და უშვებენ ხუთჯერ მეტ ტყვიას წამში, ვიდრე არსებული ტყვიის მფრქვეველები. არტილერიის მოტორიზაციამ ისეთ შედეგებს მიაღწია, რომ 300 ფუთიან ტრაქტორს იოლათ ააქვს 119 მმ. ზარბაზანი ტალახით დაფარულ აღმართზე 35 გრადუსის დახრით, და ამასთან ჩვეულებრივ გზაზე საათში 19 ვერსს აკეთებს. ყველა აღნიშნულ მოტორებს შეუძლიათ გადალახონ წყლის დაბრკოლებანი.

საფრანგეთში შექმნილ იქნა მცურავი ტანკები წყალქვეშა ნავების მსგავსად, რომელიც საცდელად რეინზე გაუშვეს და მათ თავისუფლად გადალახეს მდინარე.

საფრანგეთსა და ამერიკაში უკვე მიაღწიეს ბატარეების და არტილერიის ნაწილების რადიოს საშვალებით ხელმძღვანელობა. ამას გარდა დამყარებულია რადიო-კავშირი პოლკის უფროსსა და გუნდის უფროსებს შორის.

ავიო-ტეხნიკაში შემდეგი მიღწევებია: 1) ვერტიკალური აფრენა საავიაციო აპარატის მიწიდან და 2) ჰაეროპლანი უავიატოროთ (საფრანგეთი და ამერიკა), რომელსაც განაგებენ რადიო-ტალღების საშუალებით. ასეთი ჰაეროპლანი სავსებით დამოუკიდებლად აწარმოებს სხვა და სხვა ჰაერის მანიპულიაციებს და თვით ისვრის უდიდესი ძლიერების ყუმბარებს რუკაზე წინასწარ აღნიშნულ ადგილებში.

პოლკოვნიკი ფულერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მომავალ ომებში დიდ როლს ითამაშებს მოძრავი ტანკა, რომელშიც მათ მიერ გამოშვებული გაზები ვერ შევა და რომელიც მოძრაობაში იქნებიან მოყვანილი აკკუმილიატორების საშუალებით და თან ექნება მჟავბადი და შეკუმშული ჰაერი თავის ნაწილებისათვის. დანიშნულება ამ ახალ ტანკებისა იმაში იქნება, რომ გაანადგურონ ყოველგვარი სიცოცხლე იმ ფარგლებში, რომელიც მათი გავლენის რადიუსს დაექვემდებარება.

ამერიკულ ჯარში უკვე შემოღებულია სასიკვდილო გაზი „ლოუვენიკლერსინი“, რომელიც ჰკუიდან შლის ადამიანს და რომლისაგანაც თავის დაცვა შეუძლებელია არსებულ ნიღაბების საშუალებით.

საფრანგეთში ცდებს აკეთებენ გაზზე რომელიც გაჟღენთავს რა ნიადაგს 7—10 დღის განმავლობაში იძლევა მოშხამულ აორთქლებას არა ჩვეულებრივი ძალისა; ასე მაგ., 3 წუთი ჰაერის სინოტივესი, გაჟღენთილი ამ გაზით, კლავს ყოველ ცხოველს, რომელიც კი მას შეისუნთქავს.

მექანიკური ანბანი

ივანე როსტომაშვილმა და მის იჟინერ შვილს ნიკო როსტომაშვილს, გამოუგონიათ მექანიკური ანბანი, რომლითაც სულ ადვილად შეიძლება, როგორც ქართულ, ისე სხვა ყოველ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა. ანბანი ორ-ნაირია. 1) ლარებიანი და 2) უჯრედიანი. ორივე ანბანი გამართულია ცალ ცალკე სწორ ფიცარზე, სიგრძით სამი მეოთხედი და სიგანით ნახევარი არშინისა, იმ განსხვავებით, რომ პირველზე გაკეთებულია ზემოდან ქვევით და ქვემოდან ზევით ლარები, რომლებშიაც ჩასჭულია მოძრავი ასოები; ხოლო, მეორე ფიცარზე გაკეთებულია უჯრედები და შიგ ჩასმულია აგრეთვე მოძრავი ასოები, იმ განსხვავებით, რომ პირველის ასოები არ ამოიღება ლარის ბუდიდან და მხოლოდ გაიწევ გამოიწევა აქეთ-იქით, რომ შეგეძლოთ სურვილისამებრ ამა თუ იმ სიტყვისა და მოკლე წინადადების შედგენა, ხოლო, უჯრედიანის ასოები შეგიძლიანთ ამოიღოთ ამავე მიზნით და დააწყოთ ფიცრის ქვემო ცარიელ ადგილზე აგრეთვე ამა თუ იმ სიტყვისა და წინადადების შესადგენად.

ორივე ფიცარზე გარიგებულია მთელი ქართული ანბანის მოძრავი ასოები, ხუთ-ხუთი ცალი თითო ლარში და უჯრედში. ასოები გარიგებულია ალფავიტის რიგზე და გაყოფილია ორად: ერთი ნახევარი ასოებისა ზემოთ არის გარიგებული და მეორე ქვემოთ ლარებიანს ანბანს, შუაზე დატოვებული აქვს ცარიელი ადგილი, აქ გამართულია ლიანდაგი, რომელზედაც მოსწავლე ადგენს სიტყვებს თუ წინადადებას ასოების ჩამოწევით თუ ამოწევით, ხოლო, უჯრედიანს ლიანდაგი არა აქვს და ასოები გაიწყობა პირდაპირ ფიცრის ქვემოცარიელ ადგილზე ამა თუ იმ სიტყვებისა და წინადადებების შესადგენად.

ანბანებს თან დართული აქვს განმარტება, როგორც უნდა ასწავლონ მისით ბავშვებს თუ დიდებს. ანბანები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე სრულიად შეუმჩნევლად და ბუნებრივად ეჩვევა ასოთა შეერთების პროცესს და შედგენას მათგან სიტყვებისას, ეს კი, როგორც ვიცით, „პირველი და უმთავრესი საქმეა ამა თუ იმ ენის წერა-კითხვის სწავლებაში.

რადგანაც როსტომაშვილს არა აქვს შეძლება თვით მოაწყოს თავისი მეხანიკური ანბანის კეთების სახელოსნო, იგი აპირებს მიმართოს თხოვნით სახალხო განათლების კომისარს, რათა ეს საქმე თავს იდვას სახელმწიფო გამომცემლობამ.

პედაგოგი.

ორი დღე ზუგდიდში

სენაკიდან 41 ვერსის გასწვრივ გამართულია შარა გზა ზუგდიდისაკენ. ეტლები სუსტი ცხენებითაც აღწევს თავის დანიშნულებას შარა გზის სისწორის გამო. გზას საკმაოდ აქვს უპატრონობის დაღი დასმული. ზოგ. ალაგს იგი აუცილებლად საჭიროებს შეკეთებას. ასევე ითქმის ბოგირების შესახებ. განსაკუთრებით ერთი ბოგირი სულ აყრილია და ლოდების გაწყობით არის შესაძლებელი ზედ გადასვლა ეტლისათვის.

მთელი 41 ვერსის გასწვრივ ასეთი მდგომარეობა არ არის და ამიტომ დიდ ენერგიას არ მოითხოვს გზისა და ბოგირების შეკეთება.

ზუგდიდი, მიუხედავად ზამთრის მიერ თავისი ნიშნის დასმისა, ლამაზად გამოიყურება. დიმიტრი ყიფიანის მიერ გაშენებული ხეები შუა ქალაქში ამაყურად არის ჩამწკრივებული და მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მთელი საქართველოს ბუნება ისეთ კონტრასტებს წარმოადგენს და ისეთ სურათს შლის მთლიანად თვალ წინ, რომ არ შეიძლება მისმა ყოველმა კუთხემ თავისი ადგილი არ მოიპოვოს საერთო თაიგულში.

სამეგრელოს ჭალები და გორაკები საქართველოს ერთ ერთი ლამაზი კუთხეა, სადაც მიდამოები დაფნით არის ხოლმე შემკული. კერძოდ ზუგდიდს, საერთო სილამაზესთან ემატება სამეგრელოს მთავართა მიერ გაშენებული მშვენიერი ბაღი, რომელიც გადაშლილია დიდ სივრცეზე და მიუხედავად მოუვლელობისა, მაინც წარმტაც სურათს წარმოადგენს.

დღეს ეს ბაღი საქონლის საძოვრად გამხდარა. მშვენიერი აუზი, სადაც წინეთ ნავებით სეირნობდა ხოლმე სამეგრელოს მთავართა სახლობა, დღეს ბაყაყების სამყოფელო ჭაობად არის ქცეული.

აღსანიშნავია, რომ ეს ბაღი ზუგდიდისათვის, თუ იგი მოვლილი იქნება, შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მით უფრო, რომ ნიადაგის ნოყიერება ხელს უწყობს ყოველგვარი კულტურის გაშენებას.

ლიმონის ნერგები საქონელთა საძოვრად არის გამხდარი, მაშინ როდესაც ქალაქს დაქირავებული ყავს აგრონომი და საერთო თანამშრომლობით მცხოვრებლებისა ადვილი საქმეა სანერგეს აღდგენა და მრავალი საცდელი მცენარეულობის გაშენება.

საჭიროა ბაღს მეტი ყურადღება მიექცეს.

ქუჩები და შინდვრებიც აუცილებლად საჭიროებს ყურადღებას. ჭაობები ქალაქში მაინც თუ არ ამოშრა მალარიის გავრცელებას ვერაფერი დააბრკოლებს.

დაწესებულებათაგან აღსანიშნავია სამკითხველო, სადაც მოიპოვება მხოლოდ „კომუნისტის“ ნომრები, მაგრამ ისიც დაგვიანებით მოსული. მაგ. 11 ამ თვეს 4—6 რიცხვის გაზეთი იყო მხოლოდ სამკითხველოში. უნდა აღინიშნოს, რომ სამკითხველოში მეტი სისუფთავე არის საჭირო.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთების მიღებას ზუგდიდში. როგორც გადმომცეს ფოსტა მხოლოდ ერჯერ დადის ხოლმე კვირაში სენაკსა და ზუგდიდს შორის და ამიტომ გაზეთების დამტარებლებს ეწევა მეეტლეები, რომელნიც სპეკულიაციას ეწევიან გაზეთებით.

ორი სამი ვერსის მანძილიდან მოსული ინტელიგენტი თუ გლეხი, ზუგდიდში საღამოს ჟამს უცდის დელეჟნის მოსვლას და ყიდულობს გაზეთს 15—20—25 ათას მანეთად ცალს, რომელიც უნდა იყიდებოდეს 10 ათას მანეთად. ამ მხრივ საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან სასტიკი ზომების მიღება და გაზეთების მიწოდების საქმის წესიერად მოგვარება.

„სამეგრელოს მუზეუმი“, რომელიც გამართულია სამეგრელოს ყოფილ მთავართა სასახლეში, ძვირფასი განძია ჩვენი ქვეყნისათვის. მუზეუმში მრავალი ნაშთია დაცული და აგრეთვე დიდძალი მასალები, რომელნიც ჯერ კიდევ მოუყვანელია სისტემაში. მუზეუმს ეტყობა მზრუნველის ხელი და მუზეუმის გამგე ამხ. ჭანტურია მადლობის ღირსია. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ კვირას მუზეუმი ღია უნდა იყოს, რადგან მახლობელი სოფლისა და თვით ქალაქის მცხოვრებს საშუალება ექნებათ მუზეუმის დათვალიერების. სამაგიეროდ საქმე დღეს, შესაძლებელია ორი სამი დღითაც, იგი დაკეტილი იყოს, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ შიგნით სწარმოებს მუშაობა.

სხვათა შორის მუზეუმში ინახება ძვირფასი ნივთების ყუთები. შეკითხვაზე თუ ნივთები სად ინახება მუზეუმის მეთვალყურე გლეხმა მეგრულად მიპასუხა, რომ მენშევიკებმა წაიღეს ჯერ ტფილისში და შემდეგ კი საზღვარ გარეთო. როგორც აღნიშნეს სამეგრელოდან დიდძალი სიმდიდრე წაუღიათ მენშევიკებს.

ამხ. სერგო ელიავასთან საუბრის დროს, რომელიც განაგებს სააფთიაქო საქმეს მაზრაში, გამოირკვა, რომ მის რაიონში ყოფილა 20 აფთიაქი, რომელთა შორის იჯარაში არც ერთი არ არის გაცემული.—ზუგდიდში არის წამლების საწყობი, რო-

შელიც საკმაოდ მდიდრად უნდა ჩაითვალოს დღევანდელ პირობებში.

ამხ. სერგო ელიავამ აღნიშნა, რომ აფთიაქების ასეთი მდგომარეობა იშვიათია. სხვა მაზრები დეფიციტს ნახულობს აფთიაქებიდან. ზუგდიდის მაზრაში კი ეს თავიდან აცილებულია, რაც უნდა მიეწეროს ერთი მხრით ფარმაცევტთა ერთგულებას, რომელნიც ჯამაგირად იღებენ აფთიაქის შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს. ხოლო მეორე მხრით დამზღვევი კასის მიერ ნისიათ წაღებული წამლების პირნათლად გასტუმრებას, რაც აფთიაქების მდგომარეობას აჯანსაღებს.

მაზრაში ყოფილა 14 საექიმო პუნქტი. ექიმები არის მხოლოდ 3 პუნქტში, ფერშლები კი ყველგან. ასე, რომ ექიმების უყოლობა მაზრას მეტად ცუდ პირობებში აყენებს და აფთიაქებსაც არ აძლევს საშუალებას პირნათლად ემსახურონ თავის მოვალეობას.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. ინტელიგენტური ძალები პატარა ქალაქებში საერთოდ და ზუგდიდში კერძოდ ვერ ნახულობენ შესაფერ საარსებო პირობებს.

სატარიფო ზოლების მიხედვით ზუგდიდი არ სდგას პირველ ზოლში ე. ი. არ იღებს მისი მოსამსახურენი ჯამაგირის უმაღლეს რაოდენობას. სიძვირე კი ზუგდიდში არა ნაკლებ საგრძნობია, ვიდრე ტფილისში. ამას გარდა ინტელიგენტი მუშისათვის, მაგალითად ექიმისათვის, რომელიც ზუგდიდში მიიღებს (და ღებულობს კიდეც 8 მილიონ მანეთს) არ არის ისეთი კულტურული არე, რომ ჯამაგირის სიმცირე გამოსყიდული იყოს საცხოვრებელი პირობების მიერ. სამეგრელოს სოფლებში მუდმივი ცხოვრება ინტელიგენტი მუშაკისათვის დიდი მსხვერპლის გაღებაა. თქვენ ამ შემთხვევაში სავსებით უნდა დაშორდეთ კულტურულ კაცობრიობას და ქართულ ენაზედ მოლაპარაკეც იმ შემთხვევაში გამოჩნდებად, როდესაც ველარ გაიგებთ რასმეს მეგრულად. იქ არ არის არც ერთი ისეთი კულტურული მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი დარგი, რომელიც ინტელიგენტი მუშაკისათვის ბუნებრივ და მიუცილებელ რასმეს წარმოადგენს. ასეთ პირობებში არ არის საკვირველი, რომ მცირე ჯამაგირით პროვინციაში გაემგზავროს ინტელიგენტი მუშაკი. მისთვის უფრო ასატანი ხდება ტფილისში ნახევრად მშიერი იცხოვროს, ვიდრე ასეთივე ბედი ეწიოს ზუგდიდში.

მე ვფიქრობ ეს გარემოება ყურადღების ღირსია. საჭირო ინტელიგენტური მუშებისათვის, გადიდებულ იქნეს გასამრჯელო და შეიქნეს განსაკუთრებული პირობები მათი მუშაობისათვის პერიფერიებში.

ტურისტი.

ხელოვნება

ქართული გრამატიკა ფრანგულ ენაზე,

ტფილისის ფრანგულ ლიცეის მასწავლებელმა ლიუზენმა დაამთავრა ოცი წლის ნაშრომი „ქართული გრამატიკა ფრანგულათ“. ლიუზენმა დაამუშავა ჩვენი გრამატიკა და ბევრი ახალიც შეიტანა შიგ. აღნიშნული შრომა თავის სიდიადით და მნიშვნელობით პირველია, როგორც საგრამატიკო სახელმძღვანელო შრომა შეიცავს 2000-მდე გვერდს. ავტორს ნივთიერი საშუალება არა აქვს, რომ გამოსცეს აღნიშნული შრომა.

„ვეფხვის ტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე.

მგოსან-ქალმა ორბელიანმა გადაათარგმნა ლექსათ შოთა რუსთველის უკვდავი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“ ფრანგულათ. წარსულ თვეში ხელოვანთა სასახლეში ორბელიანმა წაიკითხა ფრანგულ ენაზე ლექცია შოთა რუსთველის შესახებ, სადაც სხვათა შორისაც გააცნო ადგილები თავის ნათარგმნიდან. ლექციას მრავალი საზოგადოება დაესწრო და ნასიამოვნი დარჩა, როგორც ლექციის შინაარსით, აგრეთვე თარგმანით.

— **„ანთებული ხეივანი“.** რედაქციამ მიიღო **ხ. აბაშელის** ლექსთა კრებულის მე-II წიგნი „ანთებული ხეივანი“. გამოცემა მშვენიერია და ღირს ხუთი შაური. დაწვრილებით შემდეგ.

ქართველ ფუტურისტების პირველი საღამო. პარასკევს, 23 მარტს სახელმწიფო I კონსერვატორიაში ქართველი ფუტურისტები გამართავენ თავის პირველ, გამოსვლითი ხასიათის საღამოს „H_2SO_4. რადიუსები“ შემდეგი პროგრამით: I სიტყვა—ბესარიონ ჟღენტის; „მანიფოლდიკს“—სიმონ ჩიქოვანი; II მოხსენებანი: „ახალი ვალიუტა“—ნიკო,—თავდგირიძე. „ქალაქი“—ბენო გორდეზიანი; „—1=1—3“—პოლ ნოზაძე; III სიტყვა მსახი მეტყველება; IV ხელოვნება ხმაურის; V მხატვრობა, მუსიკა და სხ. და სხ...

ბილეთები იყიდება ამ თავითვე დაწყება 8 ს—ზე.

შეცდომის გასწორება.

— გუშინდელ ნომერში „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმის კლიშეზე აწერია: პირველი მოქმედება, მეორე მოქმედება. უნდა იყოს: მეორე მოქმედება მესამე მოქმედება.

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მიწის რეფორმების განხორციელების შესახებ.

რათა საქართველოში საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნეს ფეოდალურ ურთიერთობათა ყოველგვარი ნაშთი და დაჩქარებით განხორციელდეს მიწის რეფორმა, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს მშრომელი ხალხი მიწის სარგებლობით, აგრეთვე გადასახლებისთვის მიწის ფონდის შესაქმნელად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თანახმად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიის მიერ 1923 წ. იანვრის 21-ს მიღებულ რეზოლიუციისა,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მე-17 ნომრის დეკრეტის განსავითარებლად ადგენს:

1. იმ მიწების ჩამორთმევას, რაც აღემატება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1922 წ. მაისის 26-ს მიწათ-მოწყობის შესახებ გამოცემული დებულებით დაწესებულ ნორმას და ამ მიწების განაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა შორის აწარმოებენ სასოფლო კომიტეტები. სოფლის კომიტეტი შეადგენს აქტს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს ვის, სად და რამდენი მიწა უნდა ჩამოერთვას და ვისა და ვის შორის უნდა იქნეს იგი განაწილებული. სოფლის კომიტეტი უნდა იქნეს არჩეული სოფლის ყრილობის მიერ სამი, ან ხუთი პირის შემადგენლობით.

კომიტეტებს უფლება აქვთ მოიწვიონ მცოდნე პირნი (აგრონომი, მიწის მზომელი და სხვ.) სოფლის კომიტეტების დადგენილებათა ტეხნიკურ შესრულებისათვის.

2. სასოფლო კომიტეტების მიერ შედგენილი აქტები, სამი დღის განმავლობაში დღიდან შედგენისა, უნდა წარედგინოს თემის საადგილ-მამულო კომიტეტს, რომელიც შესდგება 3 წევრისაგან და რომელსაც ირჩევს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

თემის საადგილ-მამულო კომიტეტი განიხილავს და დაამტკიცებს აქტს ხუთი დღის განმავლობაში დღიდან მიღებისა, განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, დაინტერესებულ პირთა მიერ შეტანილს იმავე ვადაზე და საქმის ვითარების მიხედვით ან დაამტკიცებს ამ აქტს, ან შესცვლის. დამტკიცებული ან შეცვლილი აქტი დაებრუნება სოფლის კომიტეტებს დაუყონებლივ სისრულეში მოსაყვანად.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განასაჩივროს თემის კომიტეტის მოქმედება,—ერთი კვირის ვადაზე—დღიდან აქტის დამტკიცებისა, ან შეცვლისა,—მაზრის მიწათ-მოქმედების განყოფილების კოლეგიაში, რომელიც შესდგება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის თავმჯდომარეობით და განყოფილების გამგისა და მიწათ-მომწყობელისაგან. განსაჩივრება არ შეაჩერებს აქტის სისრულეში მოყვანას.

3. მაზრის მიწათ-მოქმედების კოლეგიის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს,—ერთი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა,—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოში, რომელიც შესდგება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით და მისი მოადგილისა და მიწათ-მოწყობის განყოფილების გამგისაგან. კომისარიატის საბჭოს დადგენილება,—როგორც საბოლოო,—არ განსაჩივრდება.

შენიშვნა: მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს უფლება აქვს საჩივრის განხილვა მიანდოს საბჭოს სხვა შედგენილობას.

4. ყოველგვარი საადგილ-მამულო დავა და, სხვათა შორის მიწის სარგებლობით გამოწვეული დავაც, რაც აღიძვრის არა მიწათ-მომწყობის პროცესში, უნდა განხილულ იქნეს საერთო წესით სახალხო სასამართლოს მიერ.

5. გაუქმებულ იქნეს 1922 წ. მაისის 26-ს დებულების მეოთხე და მეშვიდე მუხლი შენიშვნითურთ.

6. იმავე დებულების მე-6 მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„მიწის ნორმა ყოფილ მესაკუთრეს დაეტოვება იმ შემთხვევაში უკეთუ იგი სცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას“.

7. დაეტოვება მიწის ნორმა:

ა) ადგილობრივ მცხოვრებ შრომის უნარდაკარგულ მოხუცებულთ, ქვრივ-ობოლთ, უკეთუ ისინი ცალკე კომლს წარმოადგენენ და მრჩენელი არა ჰყავთ:

ბ) სოფლის მეურნეს: წითელ არმიელთ, მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეთ და მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების მიერ არჩეულ მოსამსახურეთ, როდესაც ეს მოსამსახურენი დროებით მოწყვეტილი იქნებიან სოფლის მეურნეობას.

დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა ადგილობრივ მიწის კომიტეტების თანხმობით:

ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომელნიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში;

ბ) სოფლის მასწავლებლებს;

გ) მაზრის, თემისა, და სოფლის აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომელთ, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფლის მეურნეობასთან;

დ) აგრონომებს და ვეტერინარებს.

8. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიწად-მოწყობის განყოფილება ახდენს სოფლად მიწების და მიწის მოსარგებლეთა რეგისტრაციას მიწის მოწყობის დამთავრების დაგვარად თვითეულ სოფელში. მიწად-მოწყობის ტეხნიკური აპარატის მიერ ამა თუ იმ სოფლად გამორკვეული ნორმაზე მეტი მიწა უნდა გადაირიცხოს გადასახლების მიწის ფონდში.

9. მიწადმოწყობის განყოფილებასთან დაარსდეს გადასახლების ქვეგანყოფილება და დაევალოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს წარმოადგინოს არსებული წესისამებრ, ორი კვირის განმავლობაში,—აღრიცხვა გადასახლების საქმის საჭიროებისათვის. ყველა ხარჯი მიწათ-მოწყობისათვის,—გარდა მე-2 მუხლში აღნიშნულისა, აგრეთვე ხარჯები, მიწათმოწყობის განყოფილების შტატის გადიდებით გამოწვეული, გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან, რისთვისაც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს დაუყონებლივ გაეხსნას საჭირო კრედიტი.

10. მიწათ-მოქმედებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა: გასამრჯელო სოფლის და თემის კომიტეტების წევრებისათვის, მუშებისა და სადგომების დაქირავებისათვის, მიმოსვლისათვის და სხვ. დაეკისროს სოფლის საზოგადოებათ თემის კომიტეტის განაწილებისამებრ.

11. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1921 წ. ივლისის 27-ს თარიღითა და 62 №-ით გამოცემული დეკრეტი. გაუქმდეს ყველა საადგილ-მამულო კომისია და ყოველი მათი საქმე, რომლის წარმოებაც დაუმთავრებელია, გადაეცეს კუთვნილებისამებრ სახალხო სასამართლოს, ან წათ-მოწყობის განყოფილებას.

12. დადგენილება ძალაში შედის დღიდ მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრა რი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრა რი აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. ხა შვილი.

1923 წ. თებერვლის 22.
თბილისი-სასახლე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერ ადგილი დაუთმოთ შემდეგს: მე 1918 წლიდან ვ რიცხებოდი წევრად საქ. სოც.-ფედერალისტთა სა პარტიაში. მეექვსე კონფერენციის შემდეგ თა დავანებე მუშაობას. დღეს კი დარწმუნებული ვა რომ თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობაში მ ნაწილეობის მიუღებლობა დიდი დანაშაულია. აგრ დვე დარწმუნებული იმაშიც, რომ საქ. მემარცხენ სოც.-ფედერალისტთა პარტიას აქვს აღებული სწო რი ხაზი, მიმართული მშრომელი ხალხის ეკონ ნომიური და ეროვნული თავისუფლებისაკენ. ამ ტომ დღეიდგან თავს ვაცხადებ ამ პარტიის წევ რად.

ალექსანდრა პავლეს ასული ჩხენკელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

განცხადება

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა მმართველობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში (ვოგზლის ქ. № 1) დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

1923 წ. 1 აპრილიდან

I კლასის ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ შემდეგ სადგურებზედ:
ბათომი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური.

მე-2 კლასის ბუფეტები შემდეგ სადგურებზედ:
ბათომი, ქობულეთი, სამტრედია, აბაშა, ტყიბული, ხრესილი, ძირული, ხეთა, ხაშური, ქარელი, ავჭალა, იორი, ვაზიანი, წყნორის-წყალი, თელავი, კარდანახი და ბადიაური.

სავაჭრო დარაბები (ბუტკები) შემდეგ სადგურებზედ:
სამტრედია №№ 1. 2. 3. რიონი № 1. მუხიანი, ხრესილი, ძირული, მარელისი, სურამი, ქარელი, სუმბათოვო, ტფილისი № 1, ნავთლუღი № 2, ნავთლუღ-კახეთის, ალტალლია, მუკუზანი, ციხის-ძირი.

საპარიკმახეროები შემდეგ სადგურებზედ:
ნატანები, სუფსა, აბაშა, ახალ-სენაკი, საჩხერე, ბორჯომი.

ის პირნი, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში ვალდებულნი არიან ან დახურულ კონვერტებით ჩაუშვან ყუთებში, რომელიც სპეციალურად გამოკრულია საბჭოს დარბაზის კარებთან ან გამოგზავნონ ფოსტით თავის დროზედ. კონვერტებზედ, რომელნიც მიღებულ იქნება, როგორც პირადათ, ისე ფოსტით, აღნიშნულ უნდა იქნეს შემდეგი; „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტებისა, დარაბებისა და საპარიკმახეროებისა“. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რისი აღების მსურველი არის და რას გადაიხდის წლიურად ოქროს მანეთებში.

განცხადებას თან უნდა ახლდეს: 1. კვიტანცია გადასახადის შეტანისა არა ნაკლებ 10 პროცენტისა განზრახულ საიჯარო გადასახადისა. ვისაც სურს რამდენიმე საქმის აღება, ის ვალდებულია ცალ-ცალკე შემოიტანოს განცხადება აღნიშნული წესით და პროცენტებიც. 2. შემოტანილი განცხადებანი უნდა იყოს გადახდილი სადერბო გადასახადით. იჯარით გაცემის დროს მმართველობა ხელმძღვანელობს არა მარტო განცხადებაში აღნიშნული გადასახადით, არამედ რკ. გზის მეურნეობის ინტერესებით.

3.—ის პირნი, რომელთაც ეხლა აქვთ იჯარით აღებული ბუფეტები, დარაბები (ბუტკა) და საპარიკმახეროები და არა აქვთ შემოტანილი სრულებით საიჯარო გადასახადი ა.წ. 1 მარტამდე არ დაიშვებიან საიჯარო ვაჭრობაში.

დაწვრილებითი ცნობები მიიღება ყოველდღიურად 10—11 საათამდე დილით, გარდა უქმე დღეებისა გზათა მმართველობაში (ტფილისი, ვოგზალის ქ. № 1. ოთახი № 64.)

№ 299 (3—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს,

რომ ა. წ. 24 მარტისათვის დანიშნული, შეჯიბრება რკინის გზაზედ ახალი **ავტომობილების** მიღებისათვის ვისაც სურს მონაწილეობის მიღება შეჯიბრებაში, ვთხოვთ დაბეჭდილ კონვერტებში წარმოადგინონ ა. კ. რ. გ. ს.

არა უგვიანეს 24 მარტის, 12 საათისა, რომელშიაც უნდა იქნეს აღნიშნული დაწვრილებით ფასი, მარკა და ტონაჟი.

საჭირო არის 10 საბარგო ავტომობილი 3 4 ტონის
„ 2 ნახევრად საბარგო 1 ნახ. ტონის
„ 3 მსუბუქი,

№ 298 3—1.

ტფილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, მარტის 20-ს, დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის შემდეგ სასწორებისა:
1) ფათრის მოედანზე, 2) დესიმონოვის მოედანზე, 3) მუხრანის ბაზარზე და 4) ნუნუფაროვის ბაზარზე. ყოველივე ცნობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

297 6—2

გადასახადთა ბიურო.

ტირაჟი 700
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 3.